ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №198

ქ. თბილისი 23 დეკემბერი, 2016 წ.

ერთის მხრივ შპს "სკს", TNT- ის წარმომადგენელი საქართველოში, მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის 25; ტელეფონი: 291-02-20, მისი დირექტორის ნინო მენთეშაშვილის სახით და მეორეს მხრივ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, მისამართი: ქ. ბათუმი კ. გამსახურდიას ქ. №8/10; ტელეფონი: 27 66 49; მისი საფინანსო სამსახურის უფროსის მერაბ ჯოჯუას სახით, შემდგომში დამკვეთად წოდებული, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს'" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის წესით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებას შემდეგზე:

ხელშეკრულების საგანი:

1. დამკვეთი უკვეთავს და შპს "სკს" იღებს ვალდებულებას შეასრულოს შეკვეთა, რომელიც ითვალისწინებს კურიერულ მომსახურებას, დოკუმენტებისა და ამანათების მიღება -გაგზავნაზე, იმ ვადებისა და პირობების შესაბამისად, რომელიც შეთანხმებულია ამ ხელშეკრულებით (CPV 641 200 00).
2. შპს "სკს" ვალდებულებას იღებს და დამკვეთი ეთანხმება მიწოდებულ წინადადებას, რაც ითვალისწინებს გზავნილის ტრანსპორტირებას სტრასბურგში; გზავნილის წონა შეადგენს 1,5 კგ–ს, ტრანსპორტირების საფასური შეადგენს 250,00 (ორას ორმოცდაათი) ლარს.

დამკვეთის უფლება-მოვალეობანი:

1. დამკვეთი ვალდებულია: წინასწარ შეატყობინოს შეკვეთის არსებობის შესახებ, მიაწოდოს შპს"სკს" –ს ტრანსპორტირებისათვის მზადმყოფი ამანათის ზუსტი მისამართი, რომელიც უნდა შეიცავდეს საფოსტო კოდს, ქალაქის ტელეფონსა და საკონტაქტო პირს.
2. დამკვეთი ვალდებულია იზრუნოს, რომ ტვირთის მიმწოდებელმა შპს "სკს"–ს, ტვირთთან ერთად დროულად მიაწოდოს შესაბამისი დოკუმენტაცია.
3. დამკვეთი ვალდებულია გადაიხადოს გზავნილის ღირებულება ანგარიშის წარდგენიდან 7 – დღის განმავლობაში.
4. დამკვეთს შეუძლია დააზღვიოს გზავნილი შპს "სკს"-ს პარტნიორ სადაზღვევო კომპანიაში საკუთარი ხარჯით, რის შესახებ მან წინასწარ უნდა შეატყობინოს შემსრულებელს (ტვირთის დაზღვევა რეგულირდება შპს "სკს"-სა და სს "ალდაგს" შორის გაფორმებული დაზღვევის ხელშეკრულებით).

- დაზღვევის საფასური განისაზღვრება - ტვირთის ინვოისში მითითებული თანხის (ტვირთის საინვოისო ღირებულების) - 0.285 %-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ - 35 დოლარისა, ფრანშიზა - 150 დოლარი.

შპს "სკს" –ს უფლება-მოვალეობანი:

1. შპს "სკს" ვალდებულია აიღოს შეკვეთა დამკვეთთან შეთანხმებულ დროსა და ადგილას. უსწრაფესად და ყველაზე საიმედო გზით მიაწოდოს მიმღებს გზავნილები.

2. შპს "სკს" –მ დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად უნდა უზრუნველყოს ინფორმაციის მიწოდება გზავნილის მოძრაობისა და მიწოდების შესახებ.
3. შპს "სკს" უფლებამოსილია დამკვეთს მოსთხოვოს გადახდა გამოწერილი ანგარიშის შესაბამისად კონტრაქტში მითითებული ვადების გათვალისწინებით.
4. შპს "სკს" ვალდებულია შეატყობინოს დამკვეთს ნებისმიერი ცვლილების შესახებ ფასების მიწოდების ვადებისა და პირობებთან დაკავშირებით, არაუგვიანეს 30-დღისა, სანამ ეს ცვლილება შევა ძალაში.

მხარეთა უფლება-მოვალეობანი:

1. დაუზღვეველი გზავნილის შემსრულებლის მიზეზით დაკარგვის შემთხვევაში, ის ვალდებულია დამკვეთს უფასოდ გაუგზავნოს ანალოგიური გზავნილი, ან დაუბრუნოს მის მიერ ტრანსპორტირებისთვის გადახდილი თანხა. დაზღვეული გზავნილის დაკარგვის, ან დაზიანების შემთხვევაში, შემსრულებელი მოქმედებს ხელშეკრულების 4 პუნქტის შესაბამისად.
2. დამკვეთის მიერ ამ ხელშეკრულების 3 პუნქტით დადგენილ ვადაში მომსახურების ღირებულების გადაუხდელობისას, მას დაეკისრება ჯარიმა - გადაუხდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით, ყოველ გადაცილებულ დღეზე.
3. შემსრულებლის მიერ 2 პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში, მას დაეკისრება ჯარიმა -გზავნილის ტრანსპორტირებისთვის გადასახდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

ფორს-მაჟორული პირობები:

1. ფორს-მაჟორული გარემოებების გამო, თუ ასეთს ექნება ადგილი დაა ისინი აფერხებენ ხელშეკრულების პირობების შესრულებას (ხელისუფლების მოქმედება, ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, ომი, ბლოკადა და ა.შ.) ხელშეკრულების მოქმედება ჩერდება ზემოთ აღნიშნული მოვლენების ლიკვიდაციამდე.

მომსახურების გაწევის და ხელშეკრულების მოქმედების ვადები:

1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადაა 2016 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.
2. ხელშეკრულების მოქმედების ვადაა მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

ხელშეკრულების მხარეები:

შპს "სკს"	*საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო*
მისამართი: აღმაშენებლის გამზ. №25; ტელ: 910220; ს/კ 204885810 საბანკო რეკვიზიტები: "თი-ბი-სი" –ბანკი: ცენტრალური ფილ. ბ/კ: TBCBGE22 ა/ა:GE47TB0600000022467240 დირექტორი : ნინო მენთეშაშვილი	მისამართი: ქ. ბათუმი კ. გამსახურდიას ქ. 8/10 ტელ: 27 66 49 ს/კ: 203 840 175 სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22 ანგარიშის ნომერი GE24NB0330100200165022 საერთაშ. სამართლის უფროსი მ[illegible]